



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 16 აპრილი, 2020 წელი

დრო: 17:00 -19:00

შეხვედრის ადგილი: ონლაინ შეხვედრა

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
2. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
3. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
5. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
6. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერჯო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
7. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
8. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი.
9. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“.
10. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
11. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
12. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის

განსახილველი საკითხები:

1. გარემოსდაცვის შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჯარო განხილვების შეზღუდვის შესახებ.
2. სექტორალური დიალოგების თემების შერჩევა COVID-19 გათვალისწინებით (უკვე შერჩეული თემების გადახედვა)
3. ინფორმაცია კორონა ვირუსის მოდელის შესახებ (მ.მარგველაშვილი)
4. COVID 19 და სხვა პანდემიების საფრთხეების სოციალიზაცია გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილებების ფონზე. (მ.დევიძე)
5. ინფორმაცია COVID 19 შესახებ თ. ვაშაკიძეს
6. სხვა საორგანიზაციო საკითხები

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ნინო ჩხობაძემ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

თავდაპირველად, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველაშვილმა პრეზენტაციის სახით ჯგუფის წევრებს წარუდგინა და ისაუბრა კორონა ვირუსის მოდელის შესახებ, რაც გულისხმობდა ინფექციის გავრცელების სხვადასხვა მოდელების განხილვასა და მოსალოდნელი შედეგების გაანალიზებას.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა ისაუბრა გარემოსდაცვის შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჯარო განხილვების შეზღუდვის შესახებ. მესამე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს განცხადებას, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე პერიოდში ხდება კოდექსით გათვალისწინებული საჯარო განხილვების ჩაგდება, ირღვევა პროექტების განხილვების საჯაროობა და ეს მიანიშნებს, რომ არსებულ სიტუაციაში არის მცდელობა იმისა, რომ კონკრეტული პროექტების გასატანად მოხდეს ამ კრიზისული პერიოდის გამოყენება. მნიშვნელოვანი საკითხია ნარჩენების მართვისა და გადამუშავების საკითხი, ასევე ნარჩენების შემოტანის საკითხი, რომელიც ქვეყნისთვის იქნება ძალიან დიდი პრობლემის მომტანი. მესამე სამუშაო ჯგუფი შესთავაზებს მთავრობას ონლაინ განხილვების ჩატარების პრაქტიკის დამკვიდრებას მსგავს კრიზისულ პერიოდში. მსგავსი ფორმატით განხილვების ჩატარება იქნება საჭირო სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებზე.

ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს სექტორული შეხვედრების ატარების თემატიკა. მესამე სამუშაო ჯგუფს მონიშნული ჰქონდა კონკრეტული თემები, რომელზეც უნდა დაგეგმილიყო სექტორული შეხვედრების ჩატარება, თუმცა მიმდინარე პერიოდში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მოხდება თემების ჩანაცვლება.

სექტორული შეხვედრები დაიგეგმება შემდეგ საკითხებზე:

1. პანდემიები და კლიმატის ცვლილება
2. ნარჩენების მართვა (მეორე და მესამე სამუშაო ჯგუფი)
3. წყლის საკითხები

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე